გენდერული ბიუჯეტიღა გვაკლდა!

მარიკა მჭედლიშვილი

გენდერული საკითხები ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში უკვე მეორედ გახდა პარლამენტის მსჯელობის საგანი. გუშინ კანონმდებლები თავიანთ რიგგარეშე სხდომაზე გენდერულ კონცეფციას იხილავდნენ. ოღონდ, წინა განხილვისგან განსხვავებით, როცა ოჯახური ძალადობის შესახებ კანონპროექტი წარმოადგინეს, გუშინ ნაკლები ქილიკი იყო.

— სასიამოვნოა, რომ პარლამენტში ამ საკითხის განხილვას არ მოსდევს სიცილი და ხარხარი. კარგია, რომ საზოგადოებასა და პარლამენტს ესმის, რა არის გენდერული თანასწორობა და ამ მხრივ ნაბიჯები იდგმება. გენდერული თანასწორობა ათასწლეულის მიზნებშია. მათი შესრულება საქართველომ იკისრა, — აღნიშნა გენდერული თანასწორობის კონცეფციის ერთ-ერთმა ავტორმა გიგი წერეთელმა.

თავად კონცეფცია პარლამენტს გუგული მაღრაძემ გააცნო. დოკუმენტი ითვალისწინებს მუდმივმოქმედი ინსტიტუტის შექმნას, რომელიც გენდერული საკითხებით დაკავდება. საუბარია სქესთა თანასწორობაზე ხელისუფლების ყველა შტოში, პარტიებში, სოციალურ სფეროში, ოღონდ, ქალებისთვის სავალდებულო კვოტების შემოღებას არავინ აპირებს. კვოტების შესახებ განმარტება იგორ პატარიძის პროტესტს მოჰყვა.

— პარლამენტში უნდა მოხვდეს ის, ვინც ძლიერია და არ იყოს ისე, რომ, ვთქვათ, ხუთი მამაკაცი ავირჩიოთ და ხუთი ქალი. ეს თანასწორობა კი არ არის, დისკრიმინაციაა, — შეფთავდა იგორ პატარიძე.

მის დასამშვიდებლად განმარტება გააკეთა ელენე თევდორაძემაც. მისი თქმით, კვოტირებაზე მსჯელობა ჯერ კიდევ 12 წლის წინ შეწყდა. საერთოდ, ელენე თევდორაძეს ამ კონცეფციის მიღების აუცილებლობაში ეჭვი ეპარება, ვინაიდან ქალებისთვის უნარების რეალიზაციის პირობებს ქართული კანონმდებ-

ლობა ისედაც ქმნის. ამ კანონებით, მამაკაცს უფლება აქვს, დეკრეტული შვებულება აიღოს ბავშვის მოსავლელად, ქალს კი შეუძლია, ჯარში წავიდეს.

კონცეფციაში მამაკაცების დისკრიმინაციას ხედავს ბესო ჯუღელი.

— აქ თანასწორობას ვერ ვხედავ. ეს არის ძალთა ბალანსის შეცვლა ქალების სასარგებლოდ. მე, ქალბატონო გუგული, თქვენ, ქალებს, ტროლეიბუსშიც უნდა დაგითმოთ ადგილი, 8 მარტიც მოგილოცოთ, ხელზეც გეამბოროთ და ფულიც მე შემოვიტანო ოჯახში? ქალები ამით პრივილეგირებულნი არიან, — თავის „საყვარელ“ საკითხზე აქტიურობდა ბესო ჯუღელი.

— სარეცხი? საჭმელი? — ლაკონურად შეედავა მას ვიცე-სპიკერი მაჭავარიანი.

გენდერული საკითხი უყურადღებოდ არ დარჩენია თამაზ ხიდეშელსაც, რომელმაც თავის დროზე ოჯახური ძალადობის თემაზეც აფრქვია აფორიზმები. გუშინ ხიდეშელის მთავარი არსი იმაში იყო, რომ ქალს თავისი დანიშნულება აქვს და სქესების თანასწორობა ვერ განხორციელდება.

— სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ქალს თავისი უნარების გამოვლენაში. უნდა ვეცადოთ, ყველაფერი ჯანსაღ ტრადიციებს შევუსაბამოთ. კონცეფცია იმისთვის არის საჭირო, რომ კანონმდებლობას გავუკეთოთ გენდერული ექსპერტიზა, შემოდის გენდერული ბიუჯეტის ცნება, — იცავდა თავის პოზიციას გუგული მაღრაძე.

შეთხელებულ დარბაზში გენდერულ პრობლემებზე დიდი კამათი აღარ ყოფილა, თუმცა, დეპუტატები ამ თემას, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაუბრუნდებიან.